

**მასწავლებლის საქმიანობის დაწყების,
პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა**

სქემის მიზანი

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიზანია მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება მასწავლებლის სისტემური პროფესიული განვითარების გზით. ამასთან, მოხდება ერთიანი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიის პრესტიჟის ზრდას, საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას, არსებული პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას

მასწავლებლის შეფასების ახალი სისტემის დანერგვით, გვეცოდინება რამდენად ეფექტურად იყენებს პედაგოგი მის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პრაქტიკაში და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსწავლის შედეგები გაუმჯობესდეს.

სქემა არეგულირებს:

- მასწავლებლის მომზადების ახალ საუნივერსიტეტო პროგრამებს;
- მასწავლებლის დაქირავების სამართლიან წესს;
- მასწავლებლის კვალიფიკაციაზე დაფუძნებულ სახელფასო პოლიტიკას;
- კარიერული წინსვლის მოქნილ მექანიზმს, რომლის ფარგლებში მასწავლებლებს თავიანთი საქმიანობიდან და განვითარების ეტაპიდან გამომდინარე მიენიჭებათ სტატუსები და განისაზღვრება მათი ანაზღაურება
- მასწავლებლის შეფასების კომპლექსურ და ეფექტიან სისტემას რომელიც ეფუძნება სამართლიანობის, ობიექტურობის, ვალიდობის, თანასწორობის, სანდოობის, გამჭვირვალობის პრინციპებს;

სქემის ფარგლებში განისაზღვრება კარიერული წინსვლის სხვადასხვა საფეხურები, მასწავლებლების სტატუსები, სტატუსისთვის ვადები და დასაგროვებელი კრედიტულები, ასევე ის კვალიფიკაციები და კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოქმედ მასწავლებლებს თავიანთი მიღწევების მიხედვით მიენიჭებათ სტატუსი და განესაზღვრებათ შესაბამისი ანაზღაურება.




კარიერული საფეხურები:

სქემა კარიერული საფეხურებისგან შედგება. თითოეული კარიერული საფეხურის ფარგლებში მასწავლებელს ექნება დასახული მიზნები, მიცემული პერიოდიკა. მიღწევების მიხედვით დაგროვდება კრედიტები, მასწავლებელი იქნება მოტივირებული, რომ იმოძრაოს საფეხურებს შორის, სადაც მათ ექნებათ შესაბამისი ანაზღაურება.

მასწავლებლის სტატუსი დამოკიდებულია მისი პროფესიული საქმიანობის შეფასების შედეგებზე და მასვე ეფუძნება მასწავლებლების გაზრდილი სახელფასო პოლიტიკა.

სქემის ამოქმედების შემდეგ მასწავლებლის სტატუსები განისაზღვრება სხვადასხვა სავალდებულო და ალტერნატიული საქმიანობებით, მათი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მასწავლებლებს მიენიჭებათ კრედიტული. ამრიგად, არის სავალდებულო აქტივობები რაც მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეასრულოს და არის ალტერნატიული აქტივობები, რომელიც მრავალფეროვანია და მასწავლებელი თავად ირჩევს რომელ საქმიანობაში ჩაერთოს. ყოველი სტატუსისთვის შენარჩუნებისა და მიღწევის კრედიტული მოცემულია ამ გრაფიკზე.



მასწავლებელთა შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:

თვითშეფასება: ავსებს კითხვარს, აფასებს საკუთარ საქმიანობას, აკეთებს პროფესიული საჭიროებების ანალიზს, ადგენს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, აანალიზებს განხორციელებულ პროფესიულ საქმიანობას.

შიდა შეფასება: შიდა საგაკვეთილო დაკვირვება, სამოძრაო გაკვეთილის შეფასება, მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში არსებული დოკუმენტების შეფასება

გარე შეფასება: საგნის გამოცდა, გარე საგაკვეთილო დაკვირვება. გარე შეფასება იქნება სკოლაზე დაფუძნებული გარე შეფასება, რისთვისაც მასწავლებლები საფუძვლიანად მოემზადებიან.

სქემის ფარგლებში მოწესრიგდება სახელფასო პოლიტიკა, გაიზრდება საბაზო ხელფასი და სახელფასო განსხვავება იქნება კარიერულ საფეხურებს შორის. სახელფასო ზრდა დაგეგმილია რამდენიმე ეტაპად, რომლის მიზანია მასწავლებლის ხელფასი გახდეს საქართველოში არსებული საშუალო ხელფასზე მაღალი.

2015-2016 სასწავლო წელს სქემა საპილოტე რეჟიმში ამოქმედდება

დამატებითი ინფორმაციისთვის სქემის დოკუმენტები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
http://tpdc.ge/?action=page&p_id=874&lang=geo

